საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№ 733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 20 აგვისტო
№01-05-04/131 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
Mass Communication/Journalism

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of engineering economics, media technologies and social sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი გიგლა გობეჩია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი (Master of Masscommunication) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, არანაკლებ B2 დონისა ან B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის გასაუბრებას უცხოურ ენაში (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ) ფაკულტეტზე შექმნილ დროებით კომისიასთან. აპლიკანტს, რომელსაც დამთავრებული აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უცხოურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გასაუბრებაზე გასვლა არ მოეთხოვება. გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე https://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით და მოიცავს 120 კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი). სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 30. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას.

საჭიროების შემთხვევაში XX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისთვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ გვერდზე, სადაც სტუდენტებისათვის დეტალური ინფორმაციაა სემესტრის მიმდინარეობის, მინიმალური ზღვრისა და ვადების შესახებ.

მაგისტატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ: https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს.

პროგრამის მიზანი

1. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სფეროში შემოქმედებითი ხედვისა და ანალიტიკური აზროვნების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ლოკალურ და გლობალურ საინფორმაციო სივრცეში მომხდარი, მიმდინარე თუ მოსალოდნელი ფაქტების, მოვლენებისა და აქტუალური საკითხების გაშუქებას, გაანალიზებას, კომენტირებასა და პროგნოზირებას შესაბამისი მეთოდების დახმარებით;
2. მაგისტრანტისთვის თანამედროვე მედიის განვითარებისა და ტრანსფორმაციის ახალი და უახლესი ტენდენციების, საერთაშორისო პლატფორმებთან, კონტენტის ბირჟებთან დაკავშირებისა და ინოვაციური მასალების შეთავაზების სწავლება;
3. ციფრული მედიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაგისტრანტისთვის თანამედროვე მედიის აქტუალური მიმართულებების სისტემური ცოდნის მიცემა, რომლითაც შეძლებს მედიის მართვას, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას, მედიის ტრენდული პრობლემების კრეატიულად და დამოუკიდებლად გადაწყვეტას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1.ღრმა და სისტემური ცოდნის საშუალებით, **განსაზღვრავს** ადგილობრივ და საერთაშორისო მედია სისტემებსა და პლატფორმებზე შემოქმედებითი და ანალიტიკური ხასიათის ჟურნალისტური კონტენტის განთავსების შესაძლებლობას; მასკომუნიკაციაში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს ჟურნალისტური ტექსტისა და მულტიმედიური ტექსტების საშუალებით.

2. **აყალიბებს** კრიზისულ მედიაგარემოში რისკფაქტორებს; მედიასივრცეში ინტერნეტტექნოლოგიების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების გზებს.

3. არგუმენტირებულად **ასაბუთებს** მიღებულ გადაწყვეტილებას და მასალის რაკურსის მართებულებას;

4. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოაქვს საჭირო დასკვნები, უახლესი მონაცემების საფუძველზე **წარმოაჩენს** მნიშვნელოვან ინფორმაციას და ისე აწვდის საზოგადოებას.

5. კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ჟურნალისტურ საქმიანობას **ახორციელებს** წინასწარ განსაზღვრული მითითებებისა და მოთხოვნათა შესაბამისად.

6.იაზრებს საკუთარ შემოქმედებით პროდუქციაზე პასუხისმგებლობას, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან და იცავს ჟურნალისტურ ეთიკას როგორც ჩვეულებრივ, ისე მულტიმედიურ ფორმატში.

7.გეგმავს შემდგომში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის საჭიროებას. სწავლის პროცესის თავისებურებების, ახალი გამოწვევების მაღალ დონეზე გაცნობიერებას და შემდგომში შესაბამისად სწავლის სტრატეგიის დაგეგმვას გლობალურ მედიაგარემოში.

8. იზიარებს საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, კანონის უზენაესობის პრინციპს, ადამიანის უფლებებს და დემოკრატიულ ფასეულობებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა ☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ სამაგისტრო ნაშრომი

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)

დისკუსია/დებატები;
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
ევრისტიკული;
შემთხვევების შესწავლა (Case study);
გონებრივი იერიში (Brain storming);
როლური და სიტუაციური თამაშები;
დემონსტრირება;
ინდუქცია;
დედუქცია;
ანალიზი;
სინთეზი;
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
წერითი მუშაობა;
პრაქტიკული;
ახსნა-განმარტებითი;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.
დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს.
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ

ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი შეგიძლიათ იხილოთ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php
შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

დასაქმების სფერო

მასკომუნიკაციის საშუალებებში (პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტჟურნალისტიკა, სოციალური მედია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, პრესცენტრებში, საინფორმაციო სააგენტოებში, ანალიტიკურ მედია ცენტრებში. ახალი მედიის ახალი პლატფორმების გამოყენებით ინფორმაციული ბიზნესის დამოუკიდებლად წარმოება, საგრანტო და კრაუდ სისტემებთან ურთიერთობა და საერთაშორისო სახელმწიფო და საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან ფინანსების მოზიდვა მედიაპროექტებისთვის.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 25

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ აქვს	5			
1.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)					
1.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)					
1.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)					
2.	მასკომუნიკაციის ტრენდები	არ აქვს	5			
3.	პუბლიცისტური ტექსტის კომბინაცია და მულტიფლატფორმული მიდგომები	არ აქვს	5			
4.	მედიაფილოსოფია	არ აქვს	5			
5.	ფოტო-ვიდეო რეპორტინგი	არ აქვს	5			
6	**არჩევითი სასწავლო კურსი**					
6.1	მედიცინის საკითხების გაშუქება მედიაში	არ აქვს	5			
6.2	მასმედია ინფორმაციულ საზოგადოებაში					
7.	პოლემიკური ოსტატობა	არ აქვს		5		
8.	ჟურნალისტიკის შემოქმედების ფსიქოლოგიური კვლევები	მედიაფილოსოფია		5		
9.	გლობალიზაცია და ეროვნული თავისთავადობა	პუბლიცისტური		5		

		ტექსტის კომბინაცია და მულტიფლატფორმული მიდგომები				
10.	მედიაგანათლება და მედიაწიგნიერება	მასკომუნიკაციის ტრენდები		**5**		
11.	ფოტო-ვიდეო მონტაჟი	ფოტო-ვიდეო რეპორტინგი		**5**		
12	**არჩევითი სასწავლო კურსი**					
12.1	ფსიქოლინგვისტიკა	არ აქვს		**5**		
12.2	აკადემიური წერა					
13.	კონტენტის მონეტიზაცია	მასკომუნიკაციის ტრენდები			5	
14.	ინოვაციური მედიაეკონომიკა	არ აქვს			5	
15.	მედიის კვლევის მეთოდები	მასკომუნიკაციის ტრენდები			5	
16.	NET-ოლოგია და სოციალური მედია	ფოტო-ვიდეო რეპორტინგი			5	
17	**არჩევითი სასწავლო კურსი**				10	
17.1	სამაგისტრო პრაქტიკა	I და II სემესტრის ძირითადი სასწავლო კურსები			5	
17.2	საინფორმაციო ჰიბრიდული ომი და მედია	არ აქვს				
17.3	Information Warfare					
17.3	საინფორმაციო ომი					
17.4	მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები					
18	კვლევითი კომპონენტი	პროგრამით გათვალისწინებული ყველა ძირითადი სასწავლო კურსი				30
		სემესტრში:	**30**	**30**	**30**	**30**
		წელიწადში:	**60**		**60**	
		სულ:	**120**			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	კრედიტი	საათი

				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.1	LEH16312G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
1.2	LEH16412G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	5/125	15		30				2	2	76
1.3	LEH16612G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	5/125	15		30				2	2	76
1.4	LEH16512G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	5/125	15		30				2	2	76
2.	JOI17912G1-LS	მასკომუნიკაციის ტრენდები	5/125	15	30					2	2	76
3.	SOS44512G1-LS	პუბლიცისტური ტექსტის კომბინაცია და მულტიფლატფორმული მიდგომები	5/125	15	30					2	2	76
4.	JOI18712G1-LS	მედიაფილოსოფია	5/125	15	30					2	2	76
5.	JOI10512G2-P	ფოტო-ვიდეო რეპორტინგი	5/125	45						2	2	76
6.1	JOI10212G2-LSP	მედიცინის საკითხების გაშუქება მედიაში	5/125	15	30					2	2	76
6.2	JOI19212G1-LS	მასმედია ინფორმაციულ საზოგადოებაში	5/125	15	30					2	2	76
7.	JOI18412G1-LS	პოლემიკური ოსტატობა	5/125	15	30					2	2	76
8.	JOI18812G1-LS	ჟურნალისტიკის შემოქმედების ფსიქოლოგიური კვლევები	5/125	15	30					2	2	76
9.	JOI18312G1-LS	გლობალიზაცია და ეროვნული თავისთავადობა	5/125	30	15					2	2	76
10.	JOI19112G1-LS	მედიაგანათლება და მედიაწიგნიერება	5/125	15	30					2	2	76
11.	JOI10412G2-P	ფოტო-ვიდეო მონტაჟი	5/125	45						2	2	76
12.1	SOS32112G1-LS	ფსიქოლინგვისტიკა	5/125	15	30					2	2	76
12.2	LEH14612G2-LS	აკადემიური წერა	5/125	15	30					2	2	76
13.	JOI19312G1-LS	კონტენტის მონეტიზაცია	5/125	15	30					2	2	76
14.	SOS14012G1-LS	ინოვაციური მედიაეკონომიკა	5/125	15	30					2	1	77
15.	JOI10312G2-LS	მედიის კვლევის მეთოდები	5/125	15	30					2	2	76
16.	SOS48012G1-LS	NET-ოლოგია და სოციალური მედია	5/125	15	30					2	1	77
17.1	MATR012GA1-P	სამაგისტრო პრაქტიკა	5/125					45		2	2	76
17.2	JOI19012G1-LS	საინფორმაციო-ჰიბრიდული ომი და მედია	5/125	15	30					2	2	76
17.3	JOI19012E1-LS	Information Warfare	5/125	15	30					2	2	76
17.3	JOI19012E1-LS	საინფორმაციო ომები	5/125	15	30					2	2	76
17.4	JOI17812G1-LS	მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები	5/125	15	30					2	2	76

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები გიგლა გობეჩია

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი

ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
25 სექტემბერი 2012 წ.

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
13 აგვისტო, 2021 წელი
ოქმი №65

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი